



მეღვინეობა ხარება  
WINERY KHAREBA

## სატენდერო დოკუმენტაცია

საპროექტო და საზედამხედველო სამუშაოების შესყიდვის შესახებ

### ტენდერის აღწერა

შპს „მეღვინეობა ხარება“ აცხადებს ტენდერს ქ. გურჯაანში სოფ. მუკუზანში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 51.06.55.105) დამკვეთთან წინასწარ შეთანხმებული ტექნიკური დავალების მიხედვით ღვინის სპირტისა და ჭაჭის სახდელი საწარმოს ტექნოლოგიური, არქიტექტურული, კონსტრუქციული და საინჟინრო პროექტების შემუშავებასა და საპროექტო სამუშაოების შესაბამისად წარმოებულ სამუშაოებზე არქიტექტურული/საავტორო ზედამხედველობაზე. პროექტი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. საპროექტო ფართობი შეადგენს 3300 მ<sup>2</sup>-ს.

საპროექტო-სახარჯთაღიფხვო დოკუმენტაციისა და საექსპერტო დასკვნების წარმოდგენა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

საპროექტო-სახარჯთაღიფხვო დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად.

ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისთვის ყველა სახის ნებართვისა და ტექნიკური პირობის მიღება უნდა უზრუნველყოს მიმწოდებელმა.

საპროექტო-სახარჯთაღიფხვო მომსახურების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში და უნდა მოიცავდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

### პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია, ბოლო 5 (ხუთი) წლის განმავლობაში მსგავსი სამუშაოების შესრულების შესახებ.

პრეტენდენტის გამოცდილება შეფასდება მის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული/დასრულებული მსგავსი ობიექტის (მაგ.: საწარმოს შენობა-ნაგებობა) და მსგავსი მოცულობებით სამუშაოების შესრულების შესახებ.

ქვეკონტრაქტორ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში, პრეტენდენტმა ასევე უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ქვეკონტრაქტორ(ებ)ის გამოცდილების შესახებ, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს პრეტენდენტისადმი მოთხოვნებს.

## ანგარიშსწორების პირობები

ანგარიშსწორება განხორციელდება უნადლო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში – ლარში, სახელშეკრულებო ღირებულების ფარგლებში;

ანგარიშსწორება იწარმოებს:

✓ კონკრეტული ეტაპის სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, შესრულებული სამუშაოების ღირებულების შესაბამისად.

✓ ანგარიშსწორებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას წინასწარი გადახდის მექანიზმი, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 20 %-ის ოდენობით. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ წარუდგინოს შემსყიდველს წინასწარი გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის საბანკო/სადაზღვევო (გაცემული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული დაწესებულებიდან) გარანტია, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 3 თვით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას.

**შენიშვნა:** საექსპერტო დასკვნების მომზადების ხარჯებს ანაზღაურებს მიმწოდებელი.

## სამუშაოების შესრულების ვადება

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაოს შესრულება ხელშეკრულების გაფორმებიდან **60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში** (გარდა საავტორო ზედამხედველობის სამუშაოებისა, რომელიც გაგრძელდება მშენებლობის მიმდინარეობის დროით). დოკუმენტების მიწოდება დამკვეთისათვის ეტაპობრივად, ტექნიკურ დავალებაში მოცემული ეტაპების (სამუშაოს ნაწილების) შესაბამისად.

მიმწოდებლის მიერ, ხელშეკრულების ფარგლებში დამკვეთისათვის შედეგნილ და გადაცემულ ნებისმიერ დოკუმენტზე/სამუშაოზე ქონებრივი საავტორო უფლებები უნდა უნდა ქონდეს მხოლოდ დამკვეთს.

**შენიშვნა:** პროექტი წარმოდგენილი უნდა იქნას ალბომის სახით ნაბეჭდი ვერსია A3 ფორმატზე და ელექტრონული ვერსია 4-ეგზემპლარად.

## წინადადებების წარმოდგენა

ტენდერში მონაწილეობის მიზნით, პრეტენდენტმა წინადადება უნდა წარმოადგინოს ტენდერის გამოცხადებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

მონაწილეობის მიზნით პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს:

- ✓ ინფორმაცია გამოცდილების შესახებ;
- ✓ განმარტებითი ბარათი;
- ✓ რეკვიზიტები.
- ✓ განახლებული ამონაწერი საჯარო მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
- ✓ განახლებული ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომელშიც პრეტენდენტის მიმართ, არ უნდა იყოს რეგისტრირებული ყადაღა/აკრძალვა ან/და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება ან/და პრეტენდენტი არ უნდა იყოს რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში.
- ✓ ცნობა ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ.

**შენიშვნა:** ცნობები გაცემული უნდა იყოს არაუგვიანეს ტენდერის გამოცხადების დღისა.

## გადაწყვეტილების მიღება

მიმწოდებლის შერჩევის პროცესში, უპირატესობა მიენიჭება სატენდერო წინადადებას, რომელიც დააკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- ✓ არქიტექტურული კონცეფცია, დიზაინი, ვიზუალიზაცია გრაფიკული მასალის სახით, შესაბამისობაში იქნება ტენდერით მოთხოვნილ პირობებთან;
- ✓ გამოცდილება შესაბამისობაში იქნება ტენდერით მოთხოვნილ პირობებთან;
- ✓ როგორც საპროექტო, ასევე ხარჯთააღრიცხვაში მითითებული ფასები შესაბამისობაში იქნება საბაზრო ფასებთან.

**ტექნიკური დავალება**

მიმწოდებლის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი

<p><b>მოკლე აღწერა</b></p>	<p>გურჯაანში სოფ. მუკუზანში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 51.06.55.105) ღვინის სპირტისა და ჭაჭის სახდელის საწარმოს ტექნოლოგიური, არქიტექტურული, კონსტრუქციული და საინჟინრო პროექტების შემუშავება და საპროექტო სამუშაოების შესაბამისად წარმოებულ სამუშაოებზე არქიტექტურული/საავტორო ზედამხედველობა. საპროექტო ფართი დაახლოებით 3300 კვ.მ.</p>
<p><b>მოკვლევითი სამუშაოები:</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• აზომვითი სამუშაოები;</li> <li>• ობიექტის ენერგო რესურსებით, სასმელი წყლით, კანალიზაციით, სატელეფონო-სატელევიზიო-ინტერნეტ კომუნიკაციებით უზრუნველყოფის წყაროები;</li> <li>• სამშენებლო მოედნამდუ მისასვლელი გზების განსაზღვრა და შეფასება.</li> </ul>
<p><b>ტექნოლოგიური პროექტი:</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ტექნოლოგიური ნაწილის განმარტებითი ბარათი, ტექნოლოგიის არჩევა/დასაბუთება;</li> <li>• ტექნოლოგიური გეგმარება საწარმოო პროცესების ტექნოლოგიური ნაკადურობების გათვალისწინებით;</li> <li>• ტექნოლოგიური სქემა;</li> <li>• ტექნოლოგიური დანადგარების ხაზების შერჩევა და გათვლა საქართველოში არსებული რეალური პირობების გათვალისწინებით, შემდგომში მათი ეფექტური გამოყენებისათვის;</li> <li>• დანადგარების, აპარატურების, მოწყობილობებისა და ავეჯის ჩამონათვალი, სპეციფიკაცია;</li> <li>• დაზგა-დანადგარების სპეციფიკაცია;</li> <li>• ტესტირებას დაქვემდებარებული მოწყობილობა-დანადგარების გამოსაცდელი რეჟიმისა და თანმიმდევრობის დეტალური აღწერა;</li> <li>• რთული და განსაკუთრებული დანადგარების, აპარატურისა და მოწყობილობების სამონტაჟო სქემები;</li> <li>• მთავარი კორპუსის სავაკუაციო გეგმები, გამაფრთხილებელი და გზამკვლევი მაჩვენებლის განლაგებით;</li> <li>• პროექტირება ხდება HACCP - ის და ISO-ს სტანდარტების გათვალისწინებით.</li> </ul>
<p><b>არქიტექტურული პროექტი:</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• არქიტექტურული მუშა პროექტი (მუშა ნახაზები);</li> <li>• საპროექტო გეგმები;</li> <li>• შენობა ნაგებობის ფუნქციონალური გეგმები (სათავსობის დანიშნულების მითითებით);</li> <li>• იატაკების და ჭერების მოპირკეთების გეგმები;</li> <li>• ინტერიერის ვიზუალიზაცია;</li> </ul>

- საპროექტო შენობის 3D ვიზუალიზაცია, ფოტომონტაჟი და რენდერები;
- გენერალური გეგმა;
- არქიტექტურული ჭრილები;
- ვერტიკალური გეგმარება;
- პროექტირება ხდება HACCP-ის და ISO-ს სტანდარტების გათვალისწინებით;
- კარ-ფანჯრების სპეციფიკაცია;
- სახანძრო უსაფრთხოების მიზნით მოწყობილობების სავარაუდო მონტაჟის დეტალები.
- **კონსტრუქციული პროექტი:**
- საწარმოს მოდერნიზაციის პროცესში წარმოშობილი კონსტრუქციული კვანძების დეტალური ნახაზები.
- **საინჟინრო პროექტი:**
- **ელექტრო მომარაგების პროექტი:**
  - ელექტრული ნაწილის განმარტებითი ბარათი, რომელშიც მოცემული იქნება როგორც მთლიანად ობიექტის, ასევე ცალკეული შენობა-ნაგებობების ელექტროენერგიაზე მოთხოვნილება (დადგმული და მოთხოვნილი სიმძლავრეების მნიშვნელობები), დაგეგმარებული ელ. ქსელების კატეგორია, ტიპი და ელ. გაყვანილობის მონტაჟის წესი.
  - შენობა-ნაგებობების განათების შიდა ქსელების გეგმები, სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
  - შენობა-ნაგებობების ავარიული განათების შიდა ქსელების გეგმები, სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
  - შენობა-ნაგებობების ძალოვანი შიდა ქსელების გეგმები, სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
  - შენობა-ნაგებობების სადისტრიბუციო და სერვისული ელექტრო ფარების სქემები, სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
  - შენობა-ნაგებობების ძალოვანი შიდა ქსელების კრიტიკული (საპასუხისმგებლო) ნაწილების და ავარიული განათების ქსელების უწყვეტი კვებით უზრუნველყოფის სისტემების სქემები (უწყვეტი კვების ბლოკები, აკუმულატორები და ა.შ.), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
  - შენობა-ნაგებობების მთავარი და სერვისული ელ. ფარების, და უწყვეტი კვების წყაროების შეერთების ბლოკ-სქემა;
  - შენობა-ნაგებობების ლითონის ნაწილების დამიწების (პოტენციალთა გათანაბრების) კონტურის ნახაზები და შესაბამისი სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები (საჭიროების შემთხვევაში);
  - დასაგეგმარებელი შენობა-ნაგებობის ელექტრო უზრუნველყოფაში, განახლებადი ენერჯის გამომყენებელი სისტემების სქემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  - ობიექტის შიდა-სამოედნო ელ. ქსელების გეგმები (ძალოვანი ქსელი, ტერიტორიის განათება, მეორადი დამიწების ქსელი), საკაბელო ტრანშეების ჭრილები, საკაბელო ჟურნალი, სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
  - სარეზერვო კვების გენერატორის სამონტაჟო ნახაზები;

	<ul style="list-style-type: none"> <li>○ დამიწების მეორადი კონტურის ნახაზები, სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;</li> <li>○ ობიექტის მთავარი ფარის სქემა, სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;</li> <li>○ ობიექტის ელ. მომარაგების საერთო ბლოკ-სქემა (მთავარი მკვებავი ხაზის, ობიექტის მთავარი ელ. ფარის, გენერატორის, შიდასამოედნო ელ. ქსელების, და შენობა-ნაგებობების სადისტრიბუციო ფარების შეერთების სქემა).</li> </ul>
<p><b>მეხამრიდის პროექტი</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ მეხამრიდის გეგმა;</li> <li>○ მეხამრიდის სქემა;</li> <li>○ მეხამრიდისთვის ფუნდამენტის შერჩევა და ნახაზის შედგენა;</li> <li>○ მეხდაცვის ანგარიში.</li> </ul>
<p><b>დამიწების კონტურის პროექტი</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ დამიწების კონტურის გეგმა;</li> <li>○ დამიწების კონტურის სქემა;</li> <li>○ დამიწების კონტურის ანგარიში.</li> </ul>
<p><b>სუსტდენიანი სისტემების პროექტი</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ შენობა-ნაგებობების შიდა სახანძრო სიგნალიზაციის ქსელების გეგმები, სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;</li> <li>○ ობიექტის და შენობა-ნაგებობების სახანძრო სიგნალიზაციის ქსელების ბლოკ-სქემები;</li> <li>○ ობიექტის შიდასამოედნო სახანძრო სიგნალიზაციის ქსელების ნახაზები, სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;</li> <li>○ შენობა-ნაგებობების ვიდუო-თვალთვალის შიდა ქსელების გეგმები, სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;</li> <li>○ ობიექტისა და შენობა-ნაგებობების ვიდუო-თვალთვალის ქსელების ბლოკ-სქემები;</li> <li>○ ობიექტების ვიდუო-თვალთვალის შიდასამოედნო ქსელების ნახაზები, სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;</li> <li>○ საევაკუაციო და საავარიო ნათების გეგმები, სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;</li> <li>○ საევაკუაციო და საავარიო ნათების სქემები;</li> <li>○ საევაკუაციო და საავარიო ნათების ბლოკ-სქემები.</li> </ul>
<p><b>სანტექნიკური პროექტი</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ სანტექნიკური ნაწილის განმარტებითი ბარათი, რომელშიც მოცემული იქნება დაგეგმარებული ქსელების დახასიათება. აქვე მითითებული იქნება როგორც მთლიანად ობიექტის, ასევე ცალკეული შენობა-ნაგებობების მოთხოვნილება სასმელ ცივ და ცხელ წყალზე (დღე-ღამური, წუთობრივი და წამობრივი ხარჯი), და შესაბამისი საკანალიზაციო ჩამონადენების რაოდენობა. მოცემული იქნება ასევე მოთხოვნილება ხანძარქრობისათვის საჭირო ტექნიკურ წყალზეც.</li> <li>○ შენობა-ნაგებობებში სანტექნიკური მოწყობილობების განლაგების გეგმები, სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>○ შენობა-ნაგებობების შიდა ცივი წყალსადენის ქსელების გეგმები, სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;</li> <li>○ შენობა-ნაგებობების შიდა ცივი წყალსადენის ქსელების აქსონომეტრიული სქემები;</li> <li>○ შენობა-ნაგებობების შიდა ცხელი წყალსადენის ქსელების გეგმები, სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;</li> <li>○ შენობა-ნაგებობების შიდა ცხელი წყალსადენის ქსელების აქსონომეტრიული სქემები;</li> <li>○ შენობა-ნაგებობების შიდა სახანძრო წყალსადენის ქსელების, სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;</li> <li>○ შენობა-ნაგებობების შიდა სახანძრო წყალსადენის ქსელების აქსონომეტრიული სქემები;</li> <li>○ შენობა-ნაგებობების შიდა სახანძრო წყალსადენის ქსელების გეგმები;</li> <li>○ შენობა-ნაგებობების გარე სახანძრო წყალსადენის ქსელების გეგმები;</li> <li>○ სახანძრო უსაფრთხოების მიზნით მოწყობილობების და დანადგარების მონტაჟის დეტალები;</li> <li>○ შენობა-ნაგებობების შიდა საკანალიზაციო ქსელების გეგმები, სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;</li> <li>○ შენობა-ნაგებობების შიდა საკანალიზაციო ქსელების აქსონომეტრიული სქემები;</li> <li>○ ცხელი წყლის მოსამზადებელი კვანძის (საბოილერე მეურნეობა) გეგმა და სქემა, სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;</li> <li>○ დასაგეგმარებელი ობიექტის შიდასამოედნო სანტექნიკური ქსელების (სასმელი წყალი, სახანძრო წყალსადენი, სარწყავი სისტემა, ფეკალური კანალიზაცია, სანიაღვრე კანალიზაცია) გეგმები, სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;</li> <li>○ შიდასამოედნო სანტექნიკური ქსელების ტრანშეების ჭრილები, საკონტროლო და საკომუნიკაციო ჭების ნახაზები და სქემები, წყლის ხარჯის გამზომი კვანძის სქემა. სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;</li> <li>○ სასმელი და სახანძრო წყლის სამარაგო მეურნეობის ნახაზები და სქემები (საჭიროების შემთხვევაში). სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;</li> <li>○ სახიფათო ჩამონადენების გამწმენდი მოწყობილობების ნახაზები და სქემები (საჭიროების შემთხვევაში). სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები.</li> </ul>
<p><b>გათბობა, კონდიციონერა, ვენტილაციის პროექტი</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ გათბობა, გაგრილება, ვენტილაციის ნაწილის განმარტებითი ბარათი, რომელშიც მოცემული იქნება დაგეგმარებული სისტემების დახასიათება. აქვე იქნება მოყვანილი ცნობები სამშენებლო მოედნის მეტეოროლოგიური პირობების, გადამღობი კონსტრუქციების (იატაკები, კედლები, სახურავი, კარ-ფანჯრები და სხვ.) თბოსაიზოლაციო თვისებების და თბურ ენერგიასა (სითბო/სიცივე) და სუფთა ჰაერზე შენობის საერთო მოთხოვნილების შესახებ. განმარტებითი ბარათის დანართის სახით, მოცემული იქნება მთავარი შენობის თბოდანაკარგების, თბომენაკადების და საჭირო სუფთა ჰაერის რაოდენობის კალკულაციის ცხრილები.</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>○ მთავარი შენობის გათბობა-გაგრილების სისტემის გეგმები, სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;</li> <li>○ მთავარი შენობის გათბობა-გაგრილების სისტემის აქსონომეტრიული სქემები;</li> <li>○ მთავარი შენობის გათბობა-გაგრილების სისტემის გამანაწილებელი კოლექტორების სქემები;</li> <li>○ მთავარი შენობის ვენტილაციის სისტემის გეგმები სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;</li> <li>○ მთავარი შენობის ვენტილაციის სისტემის აქსონომეტრიული სქემები;</li> <li>○ სითბო-სიცივით მომარაგების კვანძის გეგმა სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები (საქვებისა და ჩილერების განსათავსებელი პლატფორმის აღჭურვა);</li> <li>○ სითბო-სიცივით მომარაგების კვანძის აქსონომეტრიული სქემა;</li> <li>○ შიდასამოედნო თბოქსელის ნახაზები (საჭიროების შემთხვევაში), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;</li> <li>○ კვამლგაწოვისა და აირდაწნევის სისტემის გეგმები;</li> <li>○ კვამლგაწოვისა და აირდაწნევის სისტემის სქემები.</li> </ul>
<p><b>გარე საინჟინრო ინფრასტრუქტურა პროექტი</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ ავტომობილის მოძრაობის ტრაექტორია;</li> <li>○ წყალმომარაგების ქსელები;</li> <li>○ სამეურნეო და სანიაღვრე კანალიზაციის ქსელები;</li> <li>○ სადრენაჟო სისტემები;</li> <li>○ გამწმენდი ნაგებობები;</li> <li>○ სასმელი წყლის რეზერვუარები;</li> <li>○ სუსტი დენები (ვიდეო კონტროლი ეზოში).</li> </ul>
<p><b>არქიტექტურული ზედამხედველობა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>○ საპროექტო შესაბამისად წარმოებული სამუშაოების შესრულებაზე საავტორო ზედამხედველობა მშენებლობის დასრულებამდე (ექსპლუატაციაში მიღებამდე);</li> <li>○</li> </ul>